

სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორის გამჟღავნების ტექსტი

სისტემის ოპერატორი: სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“

მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა

ზედამხედველი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2, <https://nbg.gov.ge>

გამჟღავნების ტექსტის გამოქვეყნების თარიღი: 29.12.2025

გამოქვეყნების ადგილი: www.ufc.ge

საკონტაქტო ინფორმაცია: 995322777222, info@ufc.ge.

I. შესავალი

სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ (შემდგომში - UFC ან/და კომპანია), მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს საგადახდო სისტემის ოპერატორს, რომლის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში - სებ).

აღნიშნული საზედამხედველო მანდატის ფარგლებში, 2023 წლის 3 ნოემბერს სებ-ის პრეზიდენტის N299/04 ბრძანებით მიღებულ იქნა საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესი (შემდგომში - ოვერსაიტის წესი).

ოვერსაიტის წესით განსაზღვრული მოთხოვნები ეყრდნობა საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტისა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის CPSS-IOSCO- ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპებს (PFMI) და ევროპის ცენტრალური ბანკის საგადახდო სისტემების ზედამხედველობის სტანდარტებს.

აღნიშნული პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად და ოვერსაიტის წესით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“, როგორც სისტემის ოპერატორი ამ დოკუმენტით განსაზღვრავს და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომს ხდის CPSS-IOSCO საჯაროობის დებულებების ფორმულარზე პასუხებს.

წინამდებარე დოკუმენტი მორგებულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N299/04 ბრძანებაზე და ასახავს აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს.

დოკუმენტის მიზანია სისტემის სამართლებრივი, ტექნიკური და საოპერაციო გამჭვირვალობა, ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ამ დოკუმენტის გადახედვასა და საჭიროებისამებრ განახლებას არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ ან სისტემაში/გარემოში არსებითი ცვლილებების შემთხვევაში.

II. განხორციელებული ცვლილებები

სისტემის ოპერატორის გამჟღავნების ტექსტში ცვლილებები არ განხორციელებულა

III. ზოგადი მიმოხილვა

სისტემის ზოგადი აღწერა და ოპერირების არეალი

UFC წარმოადგენს გამორჩეულად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემის ოპერატორს, რომელიც სისტემის მონაწილეს გაუწევს შემდეგ მომსახურებას:

- სისტემის მონაწილის კლიენტებისთვის საკუთარ ანგარიშებზე წვდომის უზრუნველყოფა ბანკომატების ქსელის მეშვეობით (ნაღდი ფულის გატანა/შეტანა, კონვერტაცია, ინფორმაციული სერვისები და სხვა ოპერაციები).
- სისტემის მონაწილის კლიენტებისთვის ანგარიშებზე წვდომის უზრუნველყოფა სავაჭრო და მომსახურების

- ობიექტებში მდებარე გადახდის ტერმინალების (POS) მეშვეობით;
- სისტემის მონაწილის კლიენტებისთვის ანგარიშებზე წვდომის უზრუნველყოფა ელექტრონული კომერციის პლატფორმებზე განხორციელებული ოპერაციებისას;
- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საგადახდო საშუალებებით განხორციელებული ავტორიზაციების და ტრანზაქციების პროცესინგის უზრუნველყოფა;
- სისტემის მონაწილის ექვაირინგის ქსელში განხორციელებული ტრანზაქციების პროცესინგისა და კლირინგისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;
- სისტემის მონაწილის მიერ ემიტირებული საგადახდო საშუალებებით და მის ექვაირინგის ქსელში განხორციელებული ოპერაციებისათვის ოპერაციული და ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა.

ოპერირების არეალი

UFC ემსახურება ფინანსურ და არაფინანსურ ინსტიტუტებს, რომელიც განისაზღვრება და არ შემოიფარგლება შემდეგი კატეგორიებით: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და სხვა.


კორპორაციული მართვა

UFC-ს მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. თითოეულის უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობითა და საზოგადოების წესდებით.

UFC-ს კორპორაციულ მართვაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, ამასთან, დირექტორს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ეფექტური კორპორაციული მართვის გატარებასა და შენარჩუნებაში, რაც გულისხმობს საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკების ეფექტიან შესრულებას.

აქციონერთა საერთო კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, რომელიც იღებს მნიშვნელოვან სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის, წესდების ცვლილების, წლიური ანგარიშგების დამტკიცებისა და დივიდენდების განაწილების შესახებ.

მმართველობითი სტრუქტურა:



საბჭოს მუშაობის ხარისხისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოსა და მისი წევრების ყოველწლიურ შეფასებას, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას.

UFC-ის კორპორაციული მართვის ძირითად საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს საზოგადოების წესდება, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ და საგადახდო სისტემისა და საგადახდო სისტემის ოპერატორის ზედამხედველობის (ოვერსაიტის) წესი, რომელიც დამტკიცებულია სებ-ის პრეზიდენტის 2023 წლის 03 ნოემბრის N299/04 ბრძანებით.


სამართლებრივი და რეგულაციური ჩარჩო

სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებას (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202175546, რეგისტრაციის ნომერი: 2/5-115, რეგისტრაციის თარიღი: 21 მარტი, 2001 წელი). UFC რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი (რეგისტრაციის თარიღი: 26 თებერვალი, 2013 წელი, რეგისტრაციის ნომერი: 0002-9204). ეროვნული ბანკის მიერ კომპანიას მინიჭებული აქვს გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის

ოპერატორის სტატუსი, რაც მიუთითებს მის სისტემურ მნიშვნელობაზე ქვეყნის ფინანსურ ინფრასტრუქტურაში.

მისი საქმიანობა სრულად რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

UFC-ს მფლობელობითი სტრუქტურა:



სისტემის დიზაინი და ოპერაციები

საბარათო გადახდების სისტემა წარმოადგენს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურას, რომელსაც მართავს სისტემის ოპერატორი. აღნიშნული ინფრასტრუქტურა ეფუძნება საერთო წესებს, საერთაშორისო სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკებსა და ოპერაციულ პროცედურებს, რომლებიც არეგულირებს როგორც ბარათების ემისიის, ისე საბარათო ოპერაციების სრულ ციკლს. სისტემა უზრუნველყოფს როგორც საერთაშორისო საბარათო სქემის, ასევე ლოკალური სქემის ფარგლებში ემიტირებული ბარათების მხარდაჭერას.

UFC წარმოადგენს გამორჩეულად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემის ოპერატორს. სისტემის ოპერატორი ადგენს მის საგადახდო სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის წესებსა და პირობებს.

UFC-ის სისტემის მონაწილეებს წარმოადგენენ ფინანსური და არაფინანსური ორგანიზაციები/ინსტიტუტები მათ შორის, ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და სხვა.

კომპანია უზრუნველყოფს გადახდის ოპერაციების სრული ციკლის პროცესინგს - ბარათების პერსონალიზაციას, ავტორიზაციას, კლირინგსა და ანგარიშსწორებას, აგრეთვე ტრანზაქციების დამუშავებას ციფრული/ელექტრონული საფუძვლების მეშვეობით.

UFC-ის საბარათო და ანგარიშებს შორის გადახდების დამუშავების ინფრასტრუქტურა აგებულია მაღალი ხელმისაწვდომობის, მოდულარული არქიტექტურისა და რეალურ დროში ტრანზაქციების დამუშავების პრინციპებზე. სისტემა აერთიანებს ავტორიზაციის ბირთვს, ანგარიშთაშორისი გატარებების მართვის მოდულებს, საგადახდო სქემების (მათ შორის, Visa, Mastercard) და ბანკებთან ინტეგრირებულ კომუნიკაციის არხებს, ასევე მონიტორინგისა და რისკების მართვის მექანიზმებს.

ტრანზაქციის ტიპური სიცოცხლის ციკლი იწყება დამუშავების მოთხოვნის მიღებით POS/ATM/ქარდ-ნოთ-პრეზენტ არხებიდან ან API-ებით. მიღებული შეტყობინება გადის სქემის/პროტოკოლის დემიფრაციას, ფორმალურ ვალიდაციას, EMV და უსაფრთხოების პარამეტრების შემოწმებას, ხოლო შემდეგ როუტინგს შესაბამის ბანკთან ან სქემასთან. ავტორიზაციის პროცესში სისტემა ამოწმებს ბარათის/ანგარიშის სტატუსს, ლიმიტებს, ბალანსს, რისკ-პარამეტრებსა და ანომალიებს. მიღებული გადაწყვეტილება (დადასტურება/უარყოფა) რეალურ დროში უბრუნდება ტერმინალს ან მერჩანტის სისტემას. დღის ბოლოს, ყველა წარმატებული ტრანზაქცია გადადის კლირინგისა და ანგარიშსწორების ეტაპზე, სადაც UFC ახდენს მონაცემთა აგრეგირებას, დუბლიკაციების გამოვლენას, სქემების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს და ანგარიშსწორების ფაილების მომზადებას ბანკებთან ან ეროვნული ბანკის ანგარიშსწორების სისტემებთან ურთიერთობისთვის.

ოპერაციების ფარგლებში მკაფიოდ არის გაყოფილი მხარეთა პასუხისმგებლობები: მერჩანტი/ტერმინალი პასუხისმგებელია ტრანზაქციის სწორ გენერირებაზე; ემიტენტ ბანკზე დაფუძნებული ავტორიზაციის ლოგიკა წარმოადგენს ბანკის კომპეტენციას; ხოლო UFC უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემის უსაფრთხოებას, ვალიდაციას, ტრანზაქციის უწყვეტ ნაკადს, დროის ზუსტ თანმიმდევრობას (timestamps) და ანგარიშსწორების პროცესის მთლიანობას. სისტემა მუდმივი 24/7 ოპერაციული მონიტორინგისა და ავტომატური შეტყობინებების რეჟიმში მუშაობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ოპერაციული მდგრადობა და ზედამხედველობითი სტანდარტების სრული დაცვა.

IV. საქმიანობის პრინციპები

ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურებისათვის CPSS-IOSCO საჯაროობის დებულებების ფორმულარზე პასუხების ამსახველი ეს დოკუმენტი მოიცავს:

- პრინციპებს, რომლებიც მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით ვრცელდება გამორჩეულად მნიშვნელოვან საგადახდო სისტემის ოპერატორზე და განაპირობებს მის სამართლებრივ, ოპერაციულ და რისკების მართვასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს.

დოკუმენტი განსაზღვრავს UFC-ს მიდგომას CPSS-IOSCO პრინციპების შესრულების თვალსაზრისით.

ქვემოთ წარმოდგენილი აღწერა მკითხველს აძლევს ინფორმაციას, რათა სრული წარმოდგენა შეექმნას, თუ როგორ ახორციელებს UFC თითოეული პრინციპის დაკმაყოფილებას და რომელ კონკრეტულ პოლიტიკებს, პროცესებსა და მექანიზმებს იყენებს მისი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

CPSS-IOSCO პრინციპებზე პასუხები

❖ პრინციპი 1 – სისტემის ოპერატორის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სისტემის ოპერატორის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს როგორც ადგილობრივ კანონმდებლობას მათ შორის, ეროვნული ბანკის რეგულაციებს, ასევე საერთაშორისო საბარათე სქემების მოთხოვნებსა და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის საქმიანობის მაღალი ხარისხის საიმედოობას და განჭვრეტადობას	UFC წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებას (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202175546, რეგისტრაციის ნომერი: 2/5-115, რეგისტრაციის თარიღი: 21 მარტი, 2001 წელი). სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში, როგორც საგადახდო სისტემის ოპერატორი (რეგისტრაციის თარიღი: 26 თებერვალი, 2013 წელი, რეგისტრაციის ნომერი: 0002-9204). ეროვნული ბანკის მიერ კომპანიას მინიჭებული აქვს გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ოპერატორის სტატუსი. სისტემის ოპერატორის საქმიანობა ეყრდნობა: - საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონს; - სებ-ის რეგულაციებს, მათ შორის, სებ-ის პრეზიდენტის N299/04 ბრძანებით დამტკიცებულ ზედამხედველობის წესს; - Visa, Mastercard და UPI წესებსა და ხელშეკრულებებს, - PCI DSS, PCI PIN, PCI 3DS და ISO სტანდარტებს, - სისტემის მონაწილეებთან დადებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც განსაზღვრავს მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს.
ძირითადი განსაზღვრება #1 – მაღალი ხარისხის სამართლებრივი საიმედოობა	UFC-ის სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საიმედოობას სისტემის ყველა მატერიალური ასპექტისთვის, რაც მოიცავს და არ შემოიფარგლება შემდეგით: - საბარათე ოპერაციების აღსრულება; - ანგარიშსწორება; - ნეტინგი; - დეფოლტის პროცედურები; - სისტემის მომსახურებაზე წვდომის და მონაწილეობის არადისკრიმინაციული, ობიექტური და პროპორციული პირობები; - მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტები; ამ სამართლებრივი ჩარჩოს საშუალებით უზრუნველყოფილია ტრანზაქციების საბოლოო ანგარიშსწორება, სამართლებრივი აღსრულებადობა და სისტემის სტაბილურობა.
ძირითადი განსაზღვრება #2 – ნათლად და გასაგებად ფორმულირებული, მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისი წესები, პროცედურები და ხელშეკრულებები	- ხელშეკრულებები ნათლად და გასაგებად არის ფორმულირებული და მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს; - სისტემის წესები და პროცედურები ნათელია, არაორაზროვანი და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; - იურიდიული და შესაბამისობის მიმართულების მიერ უწყვეტად სრულდება ნორმატიულ და ზედამხედველობით ჩარჩოსთან შესაბამისობის მონიტორინგი. - ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება მტკიცდება სისტემის შესაბამისი მმართველობითი ორგანოს მიერ;
ძირითადი განსაზღვრება #3 – მარეგულირებელთან, სისტემის მონაწილეებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან სამართლებრივი ჩარჩოს კომუნიკაცია	წესები, პროცედურები და ხელშეკრულებები აქტიურად ზიარდება და მუდმივად ხელმისაწვდომია მარეგულირებელთა, სისტემის მონაწილეებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინტერნეტ გვერდზე - www.ufc.ge.
ძირითადი განსაზღვრება #4 – წესების, პროცედურების და ხელშეკრულებების აღსრულებადობა	UFC იღებს ზომებს, რათა შეძლებისდაგვარად მაღალი საიმედოობით უზრუნველყოფილი იყოს სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წესების, პროცედურებისა და ხელშეკრულებების აღსრულება ყველა შესაბამის იურისდიქციაში და ამ წესებით, პროცედურებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზომები არ გამოცხადდეს ბათილად, არ გაუქმდეს ან არ შეჩერდეს.
ძირითადი განსაზღვრება #5 – სხვადასხვა იურისდიქციებში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობა	UFC ოპერირებს ძირითადად საქართველოში, თუმცა მონაწილეობს საერთაშორისო საბარათე ქსელებში, შესაბამისად აწარმოებს შიდა იურიდიულ ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში იყენებს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას შესაძლო კონფლიქტური სამართლებრივი საკითხების შესაფასებლად და შესაბამისი ზომების მისაღებად.

❖ პრინციპი 2 – მმართველობა

სისტემის ოპერატორს უნდა გააჩნდეს დოკუმენტირებული მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის უსაფრთხოებასა და ეფექტურობას და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას	UFC-ის მართვის სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ უსაფრთხოება და ეფექტურობა მთავარი პრიორიტეტია, ხოლო საქმიანობა სრულად შეესაბამება ფინანსური სტაბილურობისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის პრინციპებს.
ძირითადი განსაზღვრება #1 – სისტემის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის პრიორიტეტული უზრუნველყოფა	UFC-ის მიზნები მოიცავს და არ შემოიფარგლება შემდეგით: - ფინანსური ბაზრის სტაბილურობის მხარდასაჭერად მაღალი უსაფრთხოების და ეფექტიანი პროცესინგის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა; - ბიზნესის განვითარების მხარდასაჭერად სისტემების მოქნილობისა და მასშტაბირებადობის უზრუნველყოფა; - რისკების მართვისა და რეგულაციების ჩარჩოს გაძლიერება; - ოპერაციული ხარჯების ოპტიმიზაცია და მომგებიანობის ზრდა. დასახული მიზნების ეფექტურად მიღწევის მიზნით, UFC ახორციელებს შესრულების რეგულარულ მონიტორინგს და შეფასებას შიდა ანგარიშებისა და მონიტორინგის მექანიზმების მეშვეობით.
ძირითადი განსაზღვრება #2 – დადოკუმენტირებული მმართველობითი სტრუქტურა	UFC-ის აქვს დოკუმენტირებული მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ნათელ ხაზებს. მმართველობითი მექანიზმები ასახულია წესდებაში და შიდა პოლიტიკებში, ხოლო მათი შესრულება უზრუნველყოფილია საბჭოსა და მენეჯმენტის მიერ.
ძირითადი განსაზღვრება #3 – სამეთვალყურეო საბჭოს მკაფიოდ განსაზღვრული და დადოკუმენტირებული ფუნქციები და ვალდებულებები	საბჭო პასუხისმგებელია სისტემის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრაზე, ოპერაციული პროცესების, რისკების მართვის ჩარჩოსა და შესაბამისობის მექანიზმების დამტკიცებაზე. ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისა და მართვის პროცედურები დოკუმენტირებულია და რეგულარულად ახლდება, ხოლო მათი შესრულებაზე ზედამხედველობა ხორციელდება როგორც საბჭოს, ისე შესაბამისი კომიტეტების მიერ. საბჭო საქმიანობას უზრუნველყოფს სპეციალიზებული კომიტეტებით, რომლებიც კონკრეტულ სფეროებზე ახორციელებენ დეტალურ ზედამხედველობას და პერიოდულ ანგარიშგებას. საბჭო პასუხისმგებელია აღმასრულებელი მენეჯმენტის შერჩევაზე, საქმიანობის შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელებაზე. საბჭოს მიერ შემუშავებულია კომპანიის შრომის ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკას და ფოკუსირებულია გრძელვადიან მიღწევებზე.
ძირითადი განსაზღვრება #4 – საბჭოში შემავალ წევრთა შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება	UFC-ის სამეთვალყურეო საბჭო შედგენილია შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე წევრებისაგან, რაც უზრუნველყოფს მისი მრავალმხრივი ფუნქციების ეფექტიან შესრულებას.
ძირითადი განსაზღვრება #5 – მენეჯმენტის როლი, კვალიფიკაცია და გამოცდილება	აღმასრულებელი დირექტორის შერჩევა, სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა და საქმიანობის შეფასება ხორციელდება საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და KPI-ების საფუძველზე. შეფასება ხდება ყოველწლიურად, საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, რაც მოიცავს ოპერაციულ ეფექტიანობას, რისკების მართვას და შესაბამისობას. საბჭო უზრუნველყოფს, რომ აღმასრულებელ დირექტორს ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური და მენეჯერული უნარების კომბინაცია, აგრეთვე მაღალი ეთიკური სტანდარტები. აღმასრულებელი დირექტორის გათავისუფლების პროცესი განსაზღვრულია წესდებით და შიდა პოლიტიკებით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, დოკუმენტირებული შეფასების საფუძველზე.
ძირითადი განსაზღვრება #6 – რისკების მართვის ჩარჩო და დამოუკიდებლობა	საბჭო უზრუნველყოფს დოკუმენტირებული რისკების მართვის ჩარჩოს არსებობას, რომელიც მოიცავს რისკების აპეტიტის პოლიტიკას, პასუხისმგებლობების განაწილებას და კრიზისულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების წესებს. რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ფუნქციებს გააჩნიათ საკმარისი უფლებამოსილება, დამოუკიდებლობა, რესურსები და პირდაპირი წვდომა საბჭოსთან. დამატებით, ორგანიზაცია იყენებს დაცვის სამი ხაზის მოდელს: - პირველი ხაზი: ოპერაციული ერთეულები მართავენ და აკონტროლებენ რისკებს საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში. - მეორე ხაზი: რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციები უზრუნველყოფენ რისკის მართვის სისტემის შემუშავებას / განახლებას, რისკის მართვის ინსტრუმენტების დანერგვას, ზედამხედველობას და რეპორტირებას. - მესამე ხაზი: შიდა აუდიტი უზრუნველყოფს დამოუკიდებელ შეფასებას და გასცემს რწმუნებას რისკების მართვის ჩარჩოს ეფექტურობის შესახებ და შესაბამის ანგარიშგებას

	საბჭოსთან. ყველა ხაზი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და გააჩნია სათანადო უფლებამოსილება, რესურსები და საბჭოსათვის პირდაპირი მიმართვის შესაძლებლობა.
ძირითადი განსაზღვრება #7 – დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინება და გამჭვირვალობა	საბჭო უზრუნველყოფს, რომ სისტემის დიზაინი, წესები, სტრატეგია და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ასახავდეს დაინტერესებული მხარეების ლეგიტიმურ ინტერესებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან წინასწარ იმართება კონსულტაციები, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია, საჯარო კონსულტაციები.

❖ პინციპი 3 – რისკების მართვის ჩარჩო

სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს რისკების მართვის ჩარჩო, რათა განაზოციელოს იმ რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, კონტროლი და მართვა, რომლებიც წარმოიშობა სისტემაში ან მოქმედებს მასზე	UFC-ის რისკების მართვის ჩარჩო ეფუძნება დოკუმენტირებულ პოლიტიკებს, პროცედურებსა და რისკების მართვის ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკების ეფექტურ მართვას და პერიოდულ გადახედვას.
ძირითადი განსაზღვრება #1 – რისკების მართვის ჩარჩო, პოლიტიკები და რისკების მართვის ინსტრუმენტები	UFC იყენებს კომპლექსურ რისკ-მენეჯმენტის სისტემებს, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ინფორმაციული უსაფრთხოებით, ოპერაციული რისკებით, შესაბამისობის (compliance) რისკებით, შიდა კონტროლით და ESG მიმართულებებით. პოლიტიკების დონეზე სისტემას გააჩნია რისკების მართვის ჩარჩო - პოლიტიკები / წესები, ბიზნეს ადგენის გეგმები და საქმიანობის შეწყვეტის გეგმები. რისკების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგისთვის გამოყენებულია პერიოდული პროცესებისა და კონტროლის ინდივიდუალური შეფასებები, ინციდენტების ანალიზი, ტესტ-სცენარები, აუტოსრისინგისა და მომწოდებლების (vendor) შეფასებები, ძირითადი რისკების ინდიკატორები (KRI), RCSA, ISRA, NRA, რისკების ჯანმრთელობის (Health-Check) შეფასება და სხვა ინსტრუმენტები. ტექნოლოგიური მონიტორინგი ხორციელდება DLP, SIEM, Firewall, EDR და სხვა უსაფრთხოების სისტემების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, კიბერინციდენტების სწრაფ გამოვლენას და ოპერაციული პროცესების უწყვეტ ზედამხედველობას. ამ მექანიზმების საშუალებით სისტემა შეძლებს დროულად შეფასებას, ექსპოზიციების კონსოლიდაციას და ეფექტურ მართვას სხვადასხვა მიმართულებით.
ძირითადი განსაზღვრება #2 – მესამე მხარეზე დამოკიდებულების რისკები	კლიენტებისა და სერვის პროვაიდერების თვალსაზრისით სრულდება შესაბამისი რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და პერიოდული გადაფასება, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციის უსაფრთხოებას და სერვისების უწყვეტობას.
ძირითადი განსაზღვრება #3 – საქმიანობის აღდგენისა და შეწყვეტის გეგმები	UFC-ის განსაზღვრული აქვს კრიტიკული პროცესები და მომსახურება და ყველა შესაძლო სცენარი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს აღნიშნული პროცესებისა და მომსახურების უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროცესის ქრილში, სხვადასხვა სცენარის საფუძველზე შეფასებულია აღდგენის ან/და საქმიანობის მოწესრიგებული შეწყვეტის შესაძლებლობები. საქმიანობის აღდგენისა და შეწყვეტის გეგმების გადახედვა და განახლება ხორციელდება საჭიროების შემთხვევაში, არანაკლებ წელიწადში ერთხელ. საქმიანობის აღდგენისა და შეწყვეტის გეგმები გაზიარებულია საქართველოს ეროვნული ბანკისთვის.

❖ პრინციპი 4 –საკრედიტო რისკი

სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს იმ საკრედიტო რისკების გაზომვის, კონტროლისა და მართვის ძლიერი ჩარჩო, რომელიც წარმოიშობა მონაწილეების მიმართ ან მონაწილეებს შორის სისტემაში გადარიცხვის, კლირინგისა და ანგარიშსწორების პროცესებიდან გამომდინარე.	სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრინციპი არ გამოიყენება
---	---

❖ პრინციპი 5 – გირავნობა

გირავნობა	სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრინციპი არ ვრცელდება სისტემაზე
-----------	---

❖ პრინციპი 6 –ლიკვიდურობის რისკი

სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს იმ ლიკვიდურობის რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც გამოწვეულია სისტემის მონაწილეების, ანგარიშსწორების აგენტების, ნოსტრო აგენტების, კასტოდირი ბანკების, ლიკვიდური რესურსების მიმწოდებლებისა და სხვა შესაბამის სუბიექტების მიერ.	სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრინციპი არ გამოიყენება
--	---

❖ პრინციპი 7 – საბოლოო ანგარიშსწორება

სისტემის ოპერატორმა უნდა განსაზღვროს წესები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებას არაუგვიანეს დაგეგმილი ანგარიშსწორების დღის დასასრულისა.	ყველა ანგარიშსწორება სრულდება დაგეგმილი ანგარიშსწორების დღის ბოლომდე.
ძირითადი განსაზღვრება #1 – საბოლოო ანგარიშსწორების საბოლოო ეტაპის განსაზღვრა	საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობები განსაზღვრავს საბოლოო ანგარიშსწორების წესებს.
ძირითადი განსაზღვრება #2 – საბოლოო ანგარიშსწორების ვალდებულება დაგეგმილი ანგარიშსწორების დღის ბოლომდე	ყველა ანგარიშსწორება სრულდება სამუშაო დღის ბოლომდე.
ძირითადი განსაზღვრება #3 – იმ ეტაპის განსაზღვრა, რომლის შემდეგაც მონაწილეს აღარ აქვს შესაძლებლობა გადახდის, გადახდის ინსტრუქციის ან სხვა ფინანსური ვალდებულების შეცვლა, გაუქმება ან შეჩერება.	UFC-ის სისტემაში განსაზღვრულია ეტაპი, რომლის შემდეგაც მონაწილეს აღარ აქვს შესაძლებლობა გადახდის, გადახდის ინსტრუქციის ან სხვა ფინანსური ვალდებულების შეცვლა, გაუქმება ან შეჩერება. ტრანზაქცია ითვლება შეუქცევადად მას შემდეგ, რაც: სისტემა დაასრულებს ტრანზაქციის ყველა ტექნიკურ და რისკზე ორიენტირებულ ვალიდაციას, და ტრანზაქცია მოექცევა საბოლოო ანგარიშსწორებისთვის მომზადების ფაზაში (pre-settlement stage), ამ დროს უკვე იბლოკება მონაწილის პოზიციასზე და ხდება ნეტინგის ან ანგარიშსწორების პროცესის ნაწილი.

	ამ ეტაპის შემდეგ ინსტრუქციის გაუქმება ან კორექტირება აღარაა შესაძლებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის უფლებას იძლევა მოქმედი კანონმდებლობა ან საგანგებო პროცედურები (მაგ., ტექნიკური შეცდომის ოფიციალურად დადასტურება).
--	---

❖ პრინციპი 8 – ანგარიშსწორებისათვის გამოყენებული აქტივები

სისტემის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდეს იმ ანგარიშსწორების აქტივით, რომელსაც მცირე ან ნულოვანი საკრედიტო და ლიკვიდობის რისკი აქვს.	სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრინციპი არ გამოიყენება ამ ეტაპზე, ანგარიშსწორება ხორციელდება მონაწილის მიერ განთავსებული თანხებით (საერთაშორისო საბარათე სქემების შემთხვევაში, საგადახდო სქემის მიერ განსაზღვრულ ანგარიშზე განთავსებული თანხებით).
ძირითადი განსაზღვრება #1 – ანგარიშსწორება ცენტრალური ბანკის ფულით	არ არის ამოქმედებული
ძირითადი განსაზღვრება #2 – დაბალი რისკის მქონე ანგარიშსწორების აქტივები	არ არის ამოქმედებული
ძირითადი განსაზღვრება #3 – კომერციული ბანკების რისკების მონიტორინგი	არ არის ამოქმედებული
ძირითადი განსაზღვრება #4 – ანგარიშსწორება საგადახდო სისტემის ოპერატორთან არსებულ ანგარიშებზე	ანგარიშსწორება არ ხდება საგადახდო სისტემასთან არსებულ ანგარიშებზე (საგადახდო სისტემის საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში).
ძირითადი განსაზღვრება #5 – სამართლებრივი შეთანხმებები	არ არის ამოქმედებული

❖ პრინციპი 9 – გადახდა გადახდის სანაცვლოდ (PVP)

სისტემის ოპერატორი, რომელიც იყენებს გადახდა გადახდის სანაცვლოდ მექანიზმს, ვალდებულია აღმოფხვრას შესრულების რისკი. ამ მიზნით, მან უნდა უზრუნველყოს ვალდებულების საბოლოო ანგარიშსწორება მხოლოდ მას შემდეგ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განხორციელდება შესაბამისი დაკავშირებული ვალდებულების საბოლოო ანგარიშსწორება. ეს წესი დაცული უნდა იყოს იმისდა მიუხედავად, საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება თუ არა ნეტინგის პრინციპით და როდის დგება ანგარიშსწორების საბოლოობა.	არ არის რელევანტური
--	---------------------

❖ **პრინციპი 10–სისტემის მონაწილის დეფოლტის წესი და პროცედურები**

სისტემის ოპერატორს შემუშავებული უნდა ჰქონდეს წესები და პროცედურები, რომელიც საშუალებას მისცემს მას მართოს მონაწილის დეფოლტის შემთხვევები და განაგრძოს საკუთარი ვალდებულებების შესრულება მონაწილის დეფოლტის შემთხვევაში.	სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრინციპი ნაწილობრივ ვრცელდება და გამოიყენება
ძირითადი განსაზღვრება #1 – მონაწილის დეფოლტის წესებისა და პროცედურების შემუშავება	დეფოლტის განმარტება და სხვა მნიშვნელოვანი პირობები მითითებულია საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობებში.
ძირითადი განსაზღვრება #2 – მონაწილის დეფოლტის წესების და პროცედურების იმპლემენტაცია	UFC მზად არის მონაწილის დეფოლტის წესებისა და პროცედურების იმპლემენტაციისთვის, მათ შორის, დეფოლტის თაობაზე საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობებით დადგენილი წესის შესაბამისად გადაწყვეტილების მისაღებად.

❖ **პრინციპი 11 – ზოგადი ბიზნეს რისკი**

სისტემამ უნდა მართოს საერთო ბიზნეს-რისკები და უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდური წმინდა აქტივები, რათა შესაძლოს დანაკარგების შემთხვევაში განაგრძოს ოპერაციები ან უზრუნველყოს კრიტიკული სერვისების აღდგენა ან ორგანიზებული შეწყვეტა.	UFC ფლობს დოკუმენტირებულ პოლიტიკებსა და პროცედურებს ზოგადი ბიზნეს რისკების მართვისთვის.
ძირითადი განსაზღვრება #1 – მმართველობითი და კონტროლის სისტემები	UFC იყენებს დოკუმენტირებულ პოლიტიკებსა და პროცედურებს, პერიოდულ რისკ-ანალიზს და ფინანსურ მონიტორინგს, რათა დროულად გამოავლინოს და მართოს ბიზნესრისკები.
ძირითადი განსაზღვრება #2 – ლიკვიდური წმინდა აქტივები	UFC განსაზღვრავს აქტივების ოდენობას რისკ-პროფილისა და აღდგენის პერიოდის გათვალისწინებით; მინიმუმ ექვსი თვის საოპერაციო ხარჯების დაფარვა უზრუნველყოფილია.
ძირითადი განსაზღვრება #3 – საქმიანობის აღდგენისა და შეწყვეტის გეგმა	UFC-ის შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმიანობის აღდგენის/შეწყვეტის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიურ, ოპერაციულ და სამართლებრივ მოთხოვნებს; ლიკვიდური აქტივები განკუთვნილია ამ გეგმის დასაფარად.
ძირითადი განსაზღვრება #4 – აქტივების ხარისხი და ლიკვიდურობა	UFC რეგულარულად ამოწმებს აქტივების ხარისხს და ლიკვიდურობას, რათა უზრუნველყოს ოპერაციების უწყვეტობა სტრესულ სიტუაციებში. აღნიშნული აქტივები განცალკევებულია სისტემის ოპერატორის იმ აქტივებისგან, რომელიც გამოიყენება ყოველდღიურ საქმიანობაში.
ძირითადი განსაზღვრება #5 – დამატებითი კაპიტალის მოზიდვის გეგმა	სისტემის ოპერატორს გააჩნია კონტროლის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საოპერაციო ხარჯების მუდმივი კონტროლი, რაც უარყოფითი ბრუნვის (cash flow) წარმოქმნისა და ზედმეტი საოპერაციო ხარჯების გაწევისგან თავის არიდებას უზრუნველყოფს. სისტემის ოპერატორი ბიზნეს რისკის დასაფარად განკუთვნილ ლიკვიდურ აქტივებს ყოველდღიური საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივებისგან განცალკევებულად აღრიცხავს. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი კაპიტალის მოზიდვის გეგმა ითვალისწინებს მათ შორის საკრედიტო რესურსის გამოყენებასაც.

❖ **პრინციპი 12 – შენახვისა და ინვესტირების რისკი**

შენახვისა და ინვესტირების რისკი	სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრინციპი არ ვრცელდება
---------------------------------	---

❖ **პრინციპი 13 – საოპერაციო რისკი**

სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს საოპერაციო რისკების მართვის ძლიერი ჩარჩო.	UFC-ის საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო ეფუძნება დოკუმენტირებულ პოლიტიკებს, პროცედურებსა და კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა და გარე რისკების იდენტიფიცირებას, მონიტორინგსა და მართვას.
ძირითადი განსაზღვრება #1 – ოპერაციული რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავება	UFC-ის აქვს დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცესები ოპერაციული რისკების იდენტიფიცირებისთვის, მათ შორის შიდა (პროცესუალური, სისტემური ხარვეზები, ადამიანური რესურსები), გარე (კიბერუსაფრთხოება, სერვის-პროვაიდერები და სხვა) და მონაწილეთა რისკები.
ძირითადი განსაზღვრება #2 – მმართველობის როლი	მმართველობითი როლი მოიცავს და არ შემოიფარგლება შემდეგით: - განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს ოპერაციული რისკების მართვაში, ამტკიცებს ჩარჩოს და პერიოდულად ახორციელებს მის გადახედვას / განახლებას; - უზრუნველყოფს სათანადო ორგანიზაციულ სტრუქტურას საოპერაციო რისკების მართვისთვის; - უზრუნველყოფს მართვის პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულების ზაზების ნათლად განსაზღვრას კონტროლის ეფექტური გარემოს შესაქმნელად; - აქტიურად უწყობს ხელს ორგანიზაციაში საოპერაციო რისკების მართვის პროცესს მკაფიო მითითებების, ნათელი ამოცანების და საოპერაციო რისკების მართვის კუთხით პასუხისმგებლობების ნათლად განსაზღვრის გზით; - რისკების მართვის სისტემები, პოლიტიკა და კონტროლის მექანიზმები რეგულარულად ანალიზდება, ფასდება, ტესტირდება და უმჯობესდება; - უზრუნველყოფს ოპერაციული რისკების მართვის ჩარჩოს დამოუკიდებელ შეფასებას შიდა / გარე აუდიტის მიერ.
ძირითადი განსაზღვრება #3 – ოპერაციული საიმედოობის მიზნები	UFC -ის მიერ განსაზღვრულია ოპერაციული საიმედოობის მიზნები და SLA-ები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის უწყვეტ ფუნქციონირებას. მიზნების გადახედვა ხდება რეგულარულად, ხოლო შესრულება კონტროლდება მონიტორინგის მექანიზმებით და პერიოდული ანგარიშებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღალი ხარისხის მომსახურება და სტაბილურობა
ძირითადი განსაზღვრება #4 – მასშტაბირებადი სიმძლავრე	UFC რეგულარულად ატარებს ტესტებს და აუდიტს სისტემის სიმძლავრის საკმარისობის შესამოწმებლად, რათა უზრუნველყოს მომსახურების მიზნების მიღწევა გაზრდილი ტრანზაქციების მოცულობის პირობებში. ტესტირება ტარდება ყოველწლიურად და მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდეგ. თუ სიმძლავრე მიახლოვდება ზღვარს, ანალიზდება რესურსების ოპტიმიზაცია და დამატებით ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები.
ძირითადი განსაზღვრება #5 – ფიზიკური და ინფორმაციული უსაფრთხოება	UFC-ის შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ფიზიკური და ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერ უსაფრთხოების მართვის ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ადგილობრივი მარეგულირებლის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს (ISO/IEC 27001). პოლიტიკა მოიცავს და არ შემოიფარგლება ცვლილებების მართვის პროცესს, რეგულარულ ტესტირებებს და პერიოდულ აუდიტს. კიბერუსაფრთხოების ჩარჩო უზრუნველყოფს კრიტიკული ოპერაციების დაცვას, შეტევების აღმოჩენას, რეაგირებას და აღდგენას. ტესტირება ტარდება პერიოდულად, ხოლო თანამშრომლები უწყვეტად გადიან ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ტრენინგებს.
ძირითადი განსაზღვრება #6 – ბიზნესის უწყვეტობის გეგმა	UFC-ის შემუშავებული აქვს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს კრიტიკული ოპერაციების სწრაფ აღდგენას ფართო მასშტაბიანი შეფერხების შემთხვევაში. გეგმის ტესტირება და გადახედვა ტარდება ყოველწლიურად და მოიცავს მონაწილეებსა და კრიტიკულ სერვის-პროვაიდერებს.
ძირითადი განსაზღვრება #7 – მესამე მხარის და ურთიერთდამოკიდებულების რისკები	UFC აიდენტიფიცირებს და მართავს რისკებს, რომლებიც წარმოიშობა სისტემის ოპერაციებისათვის კრიტიკული მონაწილეების, ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების, აგრეთვე კომუნალური და სხვა მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან. მონიტორინგი მოიცავს SLA-ების შესრულების კონტროლს, პერიოდულ გადაფასებას, დამოუკიდებელ აუდიტს და კონტრაქტებში განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას. აუთოსრინგის შემთხვევაში, ოპერატორი უზრუნველყოფს, რომ პროვაიდერები აკმაყოფილებდნენ იმავე საიმედოობის და უწყვეტობის სტანდარტებს.

❖ პრინციპი 14 – წვდომისა და მონაწილეობის პირობები

სისტემის ოპერატორმა უნდა განსაზღვროს სისტემის მომსახურებაზე წვდომის და მონაწილეობის არადისკრიმინაციული, ობიექტური და პროპორციული პირობები	UFC-ის შემუშავებული აქვს საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობები, რომელიც ხელმისაწვდომია სისტემის ოპერატორის ინტერნეტ გვერდზე www.ufc.ge .
ძირითადი განსაზღვრება #1 – სამართლიანი და ღია წვდომა სისტემაზე	UFC-ის მიერ განსაზღვრულია სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს და არ შემოიფარგლება ოპერაციულ, ფინანსურ და სამართლებრივ მოთხოვნებს. ეს პირობები უზრუნველყოფს სამართლიან და ღია წვდომას მონაწილეობისთვის და სხვა ოპერატორებისთვის. პირობები არის რისკზე დაფუძნებული, პროპორციული და საჯაროდ ხელმისაწვდომი სისტემის ოპერატორის ინტერნეტ გვერდზე www.ufc.ge .
ძირითადი განსაზღვრება #2 – მინიმალური შეზღუდვები სისტემაზე წვდომაზე	მონაწილეობის მოთხოვნები გამყარებულია სისტემისა და ბაზრის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის პრინციპებით და მორგებულია სისტემის სპეციფიკურ რისკებზე. UFC უზრუნველყოფს, რომ წვდომის შეზღუდვები იყოს მინიმალური, ეფუძნებოდეს პროპორციულობის პრინციპს და ინარჩუნებდეს რისკების მართვის სტანდარტებს. სისტემაში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება წერილობით წარედგინება კანდიდატს მოსალოდნელი რისკების ანალიზის საფუძველზე. პირობების გადახედვა/განახლება ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებებისას, არანაკლებ წელიწადში ერთხელ.
ძირითადი განსაზღვრება #3 – მონიტორინგი და მონაწილეობის შეწყვეტის წესები	UFC მუდმივად აკონტროლებს მონაწილეთა შესაბამისობას წვდომისა და მონაწილეობის პირობებთან. UFC-ის მიერ განსაზღვრულია მონაწილეობის შეჩერების ან შეწყვეტის არადისკრიმინაციული პროცედურა და აქტიურდება, თუ მონაწილე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. პროცედურის გადახედვა/განახლება ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებებისას, არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

❖ პრინციპი 15 – პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა

პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა	სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნული პრინციპი არ ვრცელდება
---------------------------------------	---

❖ პრინციპი 16 – ეფექტურობა და ეფექტიანობა

სისტემის ოპერატორს შემუშავებული უნდა ჰქონდეს პროცესები, რომლის მიხედვითაც ის შეძლებს ბაზრის მოთხოვნილებების/საჭიროებების იდენტიფიცირებასა და გათვალისწინებას	სისტემა რეგულარულად აფასებს და აიდენტიფიცირებს ბაზრის საჭიროებებს.
ძირითადი განსაზღვრება #1 – ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება	UFC-ის აქვს პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა და ბაზრის საჭიროებების იდენტიფიცირებას და გათვალისწინებას. ეს მოიცავს კლირინგისა და ანგარიშსწორების მოდელების, საოპერაციო სტრუქტურის, პროდუქტების და გამოყენებული ტექნოლოგიების პერიოდულ შეფასებას. მონაწილეთა უკუკავშირი გამოიყენება სისტემის დიზაინისა და მომსახურების გაუმჯობესებისთვის.
ძირითადი განსაზღვრება #2 – მიზნები და ამოცანები	UFC განსაზღვრავს ნათლად ჩამოყალიბებულ, გაზომვად და მიღწევად მიზნებს, როგორიცაა მინიმალური მომსახურების დონე, რისკების მართვის სტანდარტები და ბიზნესის პრიორიტეტები. მიზნების შესრულება კონტროლდება KPI-ებით და პერიოდული ანგარიშგებით.

ძირითადი განსაზღვრება #3 – ეფექტიანობის რეგულარული შეფასება	UFC იყენებს პროცესებსა და მეტრიკებს ეფექტიანობისა და შედეგიანობის შესაფასებლად, მათ შორის ოპერაციული მონაცემების ანალიზს და მონაწილეთა უკუკავშირს. შეფასება ტარდება ყოველწლიურად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.
---	--

❖ პრინციპი 17 – საკომუნიკაციო სტანდარტები და პროცედურები

გადახდების, კლირინგის, ანგარიშსწორების და ინფორმაციის შენახვის გაუმჯობესების მიზნით სისტემის ოპერატორი ვალდებულია გამოიყენოს ან შესაძლებელი გახადოს, შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული საკომუნიკაციო სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენება	UFC იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ საკომუნიკაციო სტანდარტებსა და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გადახდების, კლირინგისა და ანგარიშსწორების ეფექტურობას.
ძირითადი განსაზღვრება #1 – საერთაშორისოდ აღიარებული საკომუნიკაციო სტანდარტები	UFC ფლობს და იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ უსაფრთხოების სტანდარტებს, როგორც არის მათ შორის PCI DSS, PCI PIN, PCI 3 DS, ISO27001, ISO22301 და რეგულარულად გადის დამოუკიდებელ აუდიტს, რათა შეინარჩუნოს ნდობისა და გამჭვირვალობის მაღალი დონე.

❖ პრინციპი 18 – საბაზრო მონაცემების, წესებისა და მნიშვნელოვანი პროცედურების გამოქვეყნება

სისტემის ოპერატორმა უნდა განსაზღვროს ნათელი და ყოვლისმომცველი წესები და პროცედურები, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მონაწილისთვის.	საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობები განთავსებულია სისტემის ოპერატორის ინტერნეტ გვერდზე: www.ufc.ge .
ძირითადი განსაზღვრება #1 – წესები და პროცედურები	UFC-ის აქვს ნათლად ჩამოყალიბებული და ყოვლისმომცველი წესები და პროცედურები, რომლებიც სრულად ხელმისაწვდომია მონაწილეებისთვის. საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობები განთავსებულია სისტემის ოპერატორის ინტერნეტ გვერდზე: www.ufc.ge .
ძირითადი განსაზღვრება #2 – სისტემის მოწყობისა და ოპერაციების აღწერილობები	UFC უზრუნველყოფს სისტემის მოწყობისა და ოპერაციების დეტალურ აღწერილობას, ასევე მონაწილეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მონაწილეებისთვის სისტემის ოპერატორის ინტერნეტ გვერდზე.
ძირითადი განსაზღვრება #3 – სისტემის მონაწილეებისთვის სისტემის წესებთან და პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და ტრენინგის ხელმისაწვდომობა	UFC უზრუნველყოფს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და საჭიროების შემთხვევაში ატარებს ტრენინგებს მონაწილეებისთვის, რათა მათ სრულად გაიგონ წესები, პროცედურები და რისკები. UFC-ის ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებული საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობები ხელმისაწვდომია ყველა მონაწილესთვის/დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული დოკუმენტი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს გაეცნოს სისტემის წესებს, პროცედურებსა და რისკებს.
ძირითადი განსაზღვრება #5 – CPSS-IOSCO ინფორმაციის გამჟღავნება და სტატისტიკა	UFC-ის ინტერნეტ გვერდზე განთავსებულია ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურებისათვის CPSS-IOSCO საჯაროობის დებულებების ფორმულარზე პასუხები, რომლის განახლება/გადახედვა ხდება არსებითი ცვლილების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ.

V. საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია

წინამდებარე საგადახდო სისტემის ოპერატორის გამჟღავნების ტექსტი და საგადახდო სისტემაში რეგისტრაციის, სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის ძირითადი პირობები ხელმისაწვდომია სისტემის ოპერატორის ინტერნეტ გვერდზე www.ufc.ge.